

განმარტებითი ბარათი

**საქართველოს კანონის პროექტზე
“სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის
საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის შესახებ”**

კანონი “სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ” არეგულირებს აღმსრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზიის გაცემის წესს.

ამასთან, ამ დაწესებულებების საქმიანობა დარეგულირებულია საქართველოს კანონით “განათლების შესახებ”, ხოლო ტერმინს - “აღმსრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულება” საერთოდ არ იცნობს აღნიშნული კანონი. კანონში საუბარია მხოლოდ საგანმანათლებლო და სააღმსრდელ დაწესებულებებზე (იხ. მე-5 მუხლის “ბ” პუნქტი, მე-15 მუხლი).

ამგვარად, კანონი “სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ” შესაბამისობაშია მოსაყვანი “განათლების შესახებ” სპეციალური კანონით დადგენილ ტერმინოლოგიასთან, რისთვისაც სიტყვები “აღმსრდელობით-საგანმანათლებლო” უნდა შეიცვალოს სიტყვებით “საგანმანათლებლო და სააღმსრდელი”.

ამასთან, “საქართველოს მთავრობის უწყებამოსილებების, სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის თანახმად სამინისტროს სახელწოდებაა “განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო” და არა - “განათლების სამინისტრო”.

კანონპროექტის ავტორი და წარმომდგენია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის.